

**წანართა
წარმომავლობისათვის
FOR THE STRUCTURE
OF THE NOUN *ČANAR***

მერაბ ჩუხუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი. საქართველო

Merab Chukhua

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi. Georgia

ABSTRACT

According to the factual material of the Kartvelian, Abkhazian, Ossetian, Armenian, Greek, and Arabic languages, it is possible to reconstruct the common Georgian ethnic term *čen-, which was historically one of the Kartvelian ethnic groups, whose residence was called čane / čania, and the community from there was referred to as čanar-. It was the people who settled mainly in the territory of the modern Kazbegi-Tianeti region, whose traces of life in the Mtskheta-Tianeti region also were to be confirmed by the Georgian surnames formed with the suffixes -ish / -sh- of the Laz-Megrelian kinship, cf. Kai-sh-aur-i, Ghudu-sh-aur-i, Ghan-ish-ashvil-i and many others. In the ancient historical period, we see the unmistakable traces of occurrence of the Georgian term čan-ar- used to denote Georgian in the Dagestani language data as well, where the ethnic term *čonor- was equal to Georgian man and which chronologically precedes the Gurji / Gurzhi allomorphs of modern and oriental origin.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ლექსიკა, ეთნონიმი, ეტიმოლოგია.

keywords: Kartvelian vocabulary, ethnonym, etymology.

თანამედროვე ქართველოლოგიაში როგორც ისტორიული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით სულ უფრო აქტუალური ხდება ეთნონიმ **წანარ**-ის წარმომავლობა. მას სპეციალური წერილიც მიეძღვნა, რომელიც წანარნი'ს სათაურით ელექტრონულადაც გამოქვეყნდა და ინტერნეტში იძებნება (<https://iberiana.wordpress.com/about/tsanarni/>). ჩვენ მიერ წარმოდგენილ წერილში არ ვაპირებთ საკითხის ისტორიის სპეციალურ განხილვას; ვიტყვით მხოლოდ, რომ, პტოლემეოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელოს მიხედვით, **წანარ**-**სანარ**-თა ტომი ცხოვრობდა ალბანის იქით, ანუ კავკასიონის მთიანეთში. ქართული წყაროებიდან კი მნიშვნელოვანია „მოქცევა ქართლისაი“, სადაც პირველად იხსენიება

წანარეთის კვევი. ისტორიულ ძეგლში ნათქვამია: „და ვითარცა მეფობაი დაესრულა ქართლსა შინა, სპარსნი გაძლიერდეს და ჰერეთი და სომხეთი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შვეიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგეს, და ერთი პარჭუანს დურძუკეთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინნეს, და სხვაი ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა კვესა და მორჩილებაი დასდევს მისი“. სტატია წანარნი'ს ავტორი აღნიშნავს, რომ „როგორც ს. ჯანაშიამ დაასაბუთა, აქ ცენტრალური კავკასიონი უნდა იგულისხმებოდეს: დარიალანი, ლიახვ-არდონის წყალთგასაყარი ქედის ზეკარი და ფშავ-ხევსურეთიდან ჩეჩენ-ქისტეთში მიმავალი გზა“ (<https://iberiana.wordpress.com/about/tsanarni/>). მეშვიდე საუკუნის სომეხი ანონიმი ავტორიც ადასტურებს წანარ- ფორმას სომხური -ქ- სუფიქსით გაფორმებული წანარ-ქ-ის სახით. მისი დაზუსტებით, კავკასიის მთასთან ბინადრობენ წანარები, სადაც მდებარეობს ალანთა კარი (<https://iberiana.wordpress.com/about/tsanarni/>). როგორც ვხედავთ, ქართულ, ბერძნულ და სომხურ წყაროებში წანარების საცხოვრისი ლოკალიზებულია დარიალის მიდამოებში და ადგილის სახელიც ქართულად არის გაფორმებული – წანარეთის კვევი. ს. კაკაბაძის სამართლიანი დასკვნით, მოგვიანებით წანარეთის ხევიდან მხოლოდ ხევი შემოგვრჩა: XIII в. Бывшая область расселения цанаров в верховьях Терека до Дарьял носит уже груз. название хеви удержанное по сей день (<https://iberiana.wordpress.com/about/tsanarni/>).

ეტიმოლოგიის კუთხითაც, საანალიზო ეთნონიმი წანარ-ადრევე მიიპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ჯერ კიდევ ნიკო მარი ამტკიცებდა, რომ წანარ- საერთოა ქართულ წო-ვა-სთან და იგი უნდა ჩანდეს თანამედროვე ხევსურ-ში, ეს უკანასკნელი, რატომღაც, მისი აზრით, *ხევ-სორ-ისგან მომდინარეობს (მარი 1916: 1397-1398). სიმონ ჯანაშია შემოიფარგლა მხოლოდ ბერძნულ-არაბული საანარ-ისა და ქართულ-სომხური წანარ- ფორმათა იდენტიფიკაციით (ჯანაშია 1988: 476). ჩვენთვისაც ამოსავალია დებულება წანარ-ის ქართველური წარმომავლობის შესახებ, მაგრამ ამასთანავე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სინქრონიულად ქართულ სინამდვილეში პოვნისიერი წან- ფორმა ვერანაირად ვერ გამოიყვანება ჭან-ისაგან (შდრ. ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015: 9-10). ქართულ სინამდვილეში არსად წან-ი არ მონაცვლეობს ჭან-თან, ამიტომაც გამორიცხულია ისტორიულად პარალელურ ეპოქებში პოვნისიერი და განსხვავებულად ფიქსირებული წან- / ჭან- ერთმანეთისაგან მომდინარეობდეს. ამასთან, ცნობილია, რომ წან- დღემდე ცოცხალი კომპოზიტის ნაწილია მეგრულში და „სამხრეთს“ აღნიშნავს, შდრ. გამოთქმაში წან-ბორია [ჯანაშია 1959] „სამხრეთის ქარი“ საპირისპიროდ „ზღვაურისა“ (დასავლეთის ქარი).

ქართველური წან- სახეობის ფუძესთან საერთო გახმოვანების -წან- ასევე დაცულია აფხაზური ენის ა-წან-უა ფორმაში. აფხაზთა ხალხური გადმოცემით, ა-წან-ებ-ი აფხაზეთის მთებში ცხოვრობდნენ. ა-წან-უ-ებ-ი (აფხ. მრ. რ. ფორმა წან-აა) მეჯოგეები იყვნენ და მოსახლეობდნენ ბზიფიდან ენგურამდე. მათი საცხოვრებელი სახლების ნაშთები გვხვდება 2133-დან 2286 მეტრის სიმაღლეზე, აფხაზები მათ სადგომებს წან-იგვარა-ს ეძახიან (ნ. ალბოვი, ს. ჯანაშია). წან-არ-ისა და წან-ის ერთ კონტექსტში

მოხმობით ჩვენ იმის დამტკიცებას ვცდილობთ, რომ ორივესთვის ამოსავალია **წან-** ძირი და **წან-**ი და **წანარ-**ი ერთი და იგივე ქართველური ტომის სახელია, მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ ფორმალურად რატომ სხვაობენ **წან-** და **წან-არ-**, რა არის აქ გამოყოფილი **-არ?** ადვილი მისახვედრია, რომ გამონაწევრებული **-არ** კოლხური სინამდვილიდან კარგად ცნობილი სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც ქართულ **-ელ**ს შეესატყვისება როგორც ფუნქციურად, ისე სტრუქტურულ-მატერიალურადაც, ე. ი. **წან-არ-**ი მეგრულად ნიშნავს **წან-ელ-**ს, ანუ ადამიანს **წან-**იდან. **წანების** საცხოვრებელ ადგილს კი **წან-ე** უნდა რქმეოდა მეგრულში. დასტურდება კიდევ ამდაგვარი ფორმა ოდნავ შეცვლილი **წან-ია/წან-ა** ალომორფების სახით სამურზაყანოში. ეს უკანასკნელნი არქაული **წან-ე**-დან მომდინარედ მიგვაჩნია, ვინაიდან მეგრულში დღემდე მოქმედია უეჭველად დამოწმებული კორელაცია **შონ-**ი „სვანი“ – **შონ-ე** „სვანეთი“. შესაბამისად, **წანების** საცხოვრებელ მიწა-წყალს, კუთხეს – **წან-ია** (< **წან-ე**) დაერქვა მეგრულ-აფხაზურად სამურზაყანოს რეგიონში. სავარაუდო ბოლოკიდური **-ე**საკუთრივ ზანური მონაცემია (შდრ. მეგრ. **შონ-ე** „სვანეთი“, ყაბ. ზან-ე, სვან. ზან < *ზან-ე „სამეგრელო“...); ხოლო ისტორიულად სამურზაყანოელი **წანია** მეგრული **წან-ე**-ს აფხაზური ენის ფარგლებში განხორციელებული **ე > ა** ადაპტაციის შედეგია და ასახავს ჰიბრიდული მეტყველების ფაქტს, როდესაც მეგრული **წანე** (დერივაციისათვის შდრ. მეგრ. **შონე** „სვანეთი“), რეგიონში (სამურზაყანოში) აფხაზურ მეტყველებაში **წანა** სახეობის სახელად გარდაიქმნა/ტრანსფორმირდა და საზიარო ფორმა გახდა სამურზაყანოს მეგრულ-აფხაზურ მეტყველებაში. ფონეტიკურად **ე > ა** მხოლოდ აფხაზურში იყო შესაძლებელი და ამგვარი ტრანსფორმაციის საფუძველიც საყოველთაოდ არის ცნობილი. აფხაზურ-აბაზურში **ე-ხმოვნის** უქონლობის გამო ნებისმიერი **ე-ხმოვნიანი** სიტყვა **ა** თანმიმდევრობით იქნება რეალიზებული, რასაც კარგად აჩვენებენ ქართველურიდან შეთვისებული სიტყვების ადაპტაცია აფხაზურში, შდრ. ქართ. კერძ- > აფხ. კაძარძ „id“, ქორიძე > ქვარანძა, კასრამე > კასლანძა... (ლომთათიძე 1976). თვითონ **წან-** ძირი მეგრულ-ლაზურში ადგილის სახელი უნდა ყოფილიყო, ალბათ „სამხრეთის“ მნიშვნელობით, შდრ. მეგრ. **მეხე** „აღმოსავლეთი“, რომელიც, სავარაუდოდ, ინახავს ქართული **მეხ-ელ-ნ-ი/მეხ-ურ-ი/მეხ-ურ-ელ-ნ-ი** ლექსემების **მეხ-** ძირს, რომლის მოსავალი მნიშვნელობაც აღმოსავლეთი უნდა ყოფილიყო, ანუ **მეხ-ელ-ი** „აღმოსავლელი“, ხოლო მეგრ. **წან-არ-**ი „სამხრეთელი“. საზოგადოდ ადგილის სახელიდან ეთნიკური ტერმინების წარმოება ბუნებრივია ქართველური ენობრივი სინამდვილისათვის. ამგვარი დერივაციისა ჩანს საერთოქართველური **სვან-**, რომლის მნიშვნელობა ქართულში **შურო-**თი განისაზღვრება (სვანი = შურო) და ცოცხალი სიტყვაა ქართლურ დიალექტში. ეთნიკური სახელი **სვან-** მეგრულში **შონ-**ით არის წარმოდგენილი, მაგრამ **შონ-ე** „სვანეთს“ აღნიშნავს მეგრულში. ამის ანალოგიური წარმოებაა **წან-** „სამხრეთი“, **წან-ი** / **წან-არ-**ი „წანელი“, ხოლო **წან-ე > / წან-ია** „წანეთ-წანარეთი“.

წან-არ-ის ზანური წარმომავლობის მტკიცების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ძველი ქართულიდან კარგად ცნობილი **აფს-არ-**ეთნონიმური სახელი, რომელიც მეგრულად გაფორმებული **აფს(უ)-ელ-**ი ჩანს (ძვ. ქართ. **აფსილ-**ი < ***აფს-ელ-**ი, **ე/ი-**სთვის შდრ. გადელია /

გადილია...). ქართულ ენობრივ სინამდვილეში, როდესაც **წან**-ები აფხაზეთ-სამეგრელოს მთიანი რეგიონებიდან ხევის მიმართულებით დაიძრნენ და შემდგომ დამკვიდრდნენ კიდევ თანამედროვე ხევის ტერიტორიაზე, **წანარ**-ისე გახდა ერთიანი დაუნაწევრებელი ფუძე ქართულისთვის, როგორც მეგრულ-ლაზური **აფსარ**-ი ძველი ქართულისათვის. სწორედ ამიტომ გვაქვს სიტყვაწარმოება **წანარ**-ი / **წანარეთ**-ი, თორემ **წან**-ისგან ქართულში მოსალოდნელი იყო **წან-ეთ**-ი, როგორც ენაში მოქმედი ნორმატიული მოდელი **იმერ**- / **იმერ-ეთ**-ი, **კან**- / **კან-ეთ**-ი, **კახ**- / **კახ-ეთ**-ი, **სვან**- / **სვან-ეთ**-ი და ა. შ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში **წანარ**-თა დამკვიდრებისა და აღზევების შემდგომ უკვე ტერმინად შექმნილი **წანარეთი** ხდება კრებსითი ტერმინი, სიმბოლო მთის მოსახლეობის ძლიერებისა და სინონიმი მთის ძლევამოსილი მოსახლეობის აღსანიშნავად, სწორედ ამიტომ (ანალოგიით) ეწოდა **წანარეთი** ქართული საისტორიო მწერლობიდან კარგად ცნობილ **მთიულეთი კახეთისა**'ს.

თუ ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის მონაცემებით ვისარგებლებთ, მეგრულ-ლაზურ **წან**- სახეობის სიტყვას ქართულში კანონზომიერ შესატყვისად **წენ**- გახმოვანების ფუძე უნდა ჰქონოდა, რაც თანხვედნილია საერთოქართველური ფუძეების ***წენ**- არქექტიპულ მონაცემთან. სამწუხაროდ, ქართულში დღეს **წენ**- ფუძე არ იძებნება. მეგრულ-ლაზურ **წან**-ს სალიტერატურო ქართულიდან მომდინარედ ვერ ვივარაუდებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კოლხურში **ე** გახმოვანების **წენ**- არ არის ბუნებრივი და არც ისტორიულად უნდა გვქონოდა იგი, ვინაიდან ქართულ **ე**-ს ზანურში **ა** შეესატყვისება რეგულარულად, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. **ე** : ზან. **ა** (ს.-ქართვ. ***ე**) - ერთი/ართი, მეგრული / მარგალი, კედელი/კადარი... საერთოქართველური (resp. ფუძექართული) **წენ**- არქექტიპის რეკონსტრუქციისათვის მეტად ღირებული ჩანს ნართული ეპოსის ოსური ვარიანტი, სადაც ერთ-ერთი მითიური ხალხის აღსანიშნავად აფხაზური **აწან**-ის (მრ. რ. **წან**-აა) ადგილს ოსურ ტექსტში **ბწენ** (მრ. რ. **ბწენ**-თა) ფორმა იკავებს. ჩვენი თვალსაზრისით, ოსური **ბწენ** ეთნონიმისთვის ამოსავალია საერთოქართველური **წენ**- არქექტიპიდან მომდინარე სავარაუდოდ სვანური კანონზომიერი შესატყვისი, რომელიც გაფორმებული იქნებოდა საკუთრივ სვანური **მგ**- პრეფიქსით და, ალბათ, ჟღერდა როგორც **მგ-წენ**. სიტყვის თავში ფიქსირებული სვანური **მგწ** ბგერათთანმიმდევრობა ოსურში ზეპირი გზით სესხების დროს ***მგწენ** > ***მწენ** > **ბწენ** სახეობად იქნა ადაპტირებული.

უძველეს ისტორიულ პერიოდში ქართველის აღსანიშნავად ხმარებული ***წენ**- ტერმინის არსებობის უტყუარ კვალს ჩვენ ვხედავთ დადესტნურ მონაცემშიც, სადაც **წორ**- ძირი „ქართულის“ ტოლოფარდია და ქრონოლოგიურად წინ უსწრებს თანამედროვე და აღმოსავლური წარმომავლობის **გურჯი** / **გურჯი** ალომორფებს. ვფიქრობთ, ხუნძურ ენაში დამოწმებული **წორ**-ოსა-როთლ „სიმინდი“ (= ქართული ხორბალი) მომდინარეობს ***წონორ**-ოსა-როთლ-იდან და ითარგმნება როგორც „წანარების პური“. ე. ი. **წანარ**- ხუნძურში **წონორ**- გახდა, საიდანაც ჰაპლოლოგიის ფონეტიკური პროცესის გავლით მივიღეთ **წორ**- (**წონორ**-

> წორ-, წორ-ოსა როთლ „სიმინდი“). ხუნძურის ეს სიტყვა იმაზეც მიუთითებს, რომ **სიმინდი/ლომი** რეგიონში საქართველოდან შედიოდა და, ცხადია, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ **ლომი** მეგრელთა ძირითადი საკვები ასევე დამახასიათებელი იყო წანარებისათვის, ანუ სამეგრელო-აფხაზეთიდან წამოსულ წანარებს კარგა ხანს მოჰყვებოდათ ღომის, როგორც ძირითადი კერძის, ტრადიცია.

კიდევ ერთი ფაქტია საინტერესო **წან-/წანარ-** ალომორფების ისტორიისათვის. ამ ჯერზე ყურადღებას მიიქცევს ჩეჩნ. **ჭანუო/ჭონა**, ქისტ. **ჭონუა**, ინგ. **ჭანუო** „ბარიდან შემოტანილი პური/ხორბალი“ ურთიერთმონათესავე სიტყვა-ფორმები, რომელთათვის ძირად გამოყოფილი არქაული **ჭან-** შეიძლება შეიცავდეს ქართველურ **წან-**ს; ვაინახური დერივაციით **ჭან-**უო უდრის ჭანისებურს, ჭანურს. **წ > ჭ** გაშიშინება თვით ვაინახურ ენა-კილოებში ჩანს განხორციელებული. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ დაღესტნურ და ვაინახურ სინამდვილეში მარცვლეულის გარკვეული კულტურები საქართველოსთანაა დაკავშირებული (ქართული **წან-**დ-ილ- სიტყვის აქ მოხმობა უადგილო გვეგონია).

ამრიგად, ქართველური, აფხაზური, ოსური, სომხური, ბერძნული და არაბული ენების ფაქტობრივი მასალის მიხედვით შესაძლებელი ხდება საერთოქართველური ***წენ-** ძირის რეკონსტრუქცია, რომელიც ერთ-ერთი ქართველური ჯგუფის აღმნიშნელი იყო ისტორიულად, რომელთა საცხოვრისს **წანე / წანია** ერქვა, ხოლო იქიდან გამოსულ თემს **წან-არ-**ებ-ი. სწორედ ეს ხალხი დამკვიდრდა ძირითადად თანამედროვე ხევის ტერიტორიაზე, რომელთა მცხეთა-თიანეთის რეგიონში ცხოვრების კვალს ამ კუთხის **-იშ/-შ-** მეგრულ-ლაზური ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსებით გაფორმებული ქართული გვარებიც უნდა ამტკიცებდნენ, შდრ. კაიშ-აურ-ი, ლუდუშ-აურ-ი, ღან-იშ-აშვილ-ი და მრავალი სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

ლომთათიძე 1976: ლომთათიძე ქ., აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბილისი, 1976 (ყდაზე: 1977).

ქირია... 2015: ქირია ჭ., ეზუგბაია ლ., მემიშიში ო., ჩუხუა მ., ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია, თბილისი, 2015.

წანარნი <https://iberiana.wordpress.com/about/tsanarni/> დამოწმება: 10.04.2021.

ჯანაშია 1959: ჯანაშია ს., თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი. შრომები, ტ. III, თბილისი, 1959.

Джанашиа 1988: Джанашиа С., Очерк истории горских народов Сев. Кавказа. Шრომები, ტ. VI. თბილისი, 1988.

Март 1916: Март Н. Я., К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа; ИАН, VI серия, №15, Петроград, 1916.